.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2010 წლის 5 ივლისის

№285 დადგენილება

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა
და განაწილების ინსტრუქციაში ცვლილებების
შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

- პუნქტი 4.2.4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.2.4 ხაზვის პრაქტიკულ მეცადინეობებზე აკადემიური ჯგუფი იყოფა, თუ სტუდენტების რაოდენობა აღემატება 15-ს, ხოლო სახელოვნებო და სახვითი ხელოვნების საგნების (არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები, არქიტექტურული გეგმარება, ქალაქგეგმარება, ინტერიერი, დიზაინი, ხატვა, ქანდაკება, ფერწერა) პრაქტიკულ მეცადინეობებზე – ერთ მასწავლებელზე 5-6 სტუდენტი;

- პუნქტი 4. 3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

4.3 პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პირველ წელს და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პირველ წელს ჩამოყალიბებულ აკადემიურ ჯგუფებში სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებების აკადემიური დატვირთვის რაოდენობა იმ სასწავლო კურსებში,სადაც ტესტირებები და დასკვნითი გამოცდები ტარდება ელექტრონული ტესტების ამოხსნით განისაზღვრება მხოლოდ საკონტაქტო საათებით (ტესტირებების, გამოცდების და ტესტების შედგენა-შემოწმების საათების გარეშე); ეს წესი გავრცელდება პროფესიული უმაღლესი განათლების და ბაკალავრიატის სწავლების ყველა წლის იმ სასწავლო კურსებზე, რომლებშიც ტესტირებები და დასკვნითი გამოცდები ჩატარდება ელექტრონული ტესტების ამოხსნით

- პუნქი 4.4.7 გახდეს პუნქტი 4.5 და შესაბამისად შეიცვალოს მომდევნო პუნქტების ნუმერაცია;
- პუნქტები 4.9 და 4.10 (არსებული ნუმერაციით) გაერთიანდეს პუნქტად 4.10 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

4.10 სამაგისტრო მომზადების 2-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტებისათვის გათვალისწინებულია 30-40 კრედიტი, რომლიდანაც სწავლების პირველი წლის თითოეული მაგისტრანტის ხელმძღვანელობისათვის განკუთვნილია 50 საათი, ხოლო მეორე წლის მაგისტრანტისთვის – 150 საათი;

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე